საქართველოს სახალხო დამცველი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 383

22 ოქტომბერი, 2018 წელი
ქ. თბილისი

საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის 4 დეკემბრის N366 ბრძანებით დამტკიცებულ „პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის ფარგლებში საქართველოს სახალხო დამცველის არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის წესში“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

I. საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის 4 დეკემბრის N366 ბრძანებით დამტკიცებულ „პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის ფარგლებში საქართველოს სახალხო დამცველის არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის წესში" შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-4 მუხლს დაემატოს მე-7 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „პროექტის წარმდგენი არასამთავრობო ორგანიზაცია უფლებამოსილია, საპროექტო განაცხადის წარდგენამდე, წინასწარი კონსულტაცია გაიაროს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტთან".

2. მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებული ღია კონკურსის გარდა, დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციას შეუძლია, თავისი ინიციატივით, ნებისმიერ დროს წარმოადგინოს ამ წესის მე–7 მუხლის შესაბამისად შევსებული საპროექტო განაცხადი ამ წესის მე-3 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მიზნით".

3. მე-9 მუხლს დაემატოს მე-5 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება პროექტის განუხილველად დატოვების შესახებ, თუკი წარმოდგენელი პროექტი შეუსაბამოა პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიზნებთან ან მისი განხორციელება შეუძლებელია პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის წლიური გეგმიდან გამომდინარე".

4. მე-10 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „საპროექტო განაცხადის შერჩევის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს სახალხო დამცველის აპარატში განაცხადის წარმოდგენიდან არა უმეტეს 3 თვეში, ეს ვადა გამონაკლის შემთხვევაში შესაძლებელია გაგრძელდეს სახალხო დამცველის მიერ, მაგრამ არაუმეტეს 2 თვით".

საქართველო, თბილისი 0112, დავით აღმაშენებლის გამზირი #150, ტელ.: (+995 32) 2234499;
ცხელი ხაზი: 1481 (24/7); www.ombudsman.ge; ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

5. მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,შერჩეული საპროექტო განაცხადის ავტორ არასამთავრობო ორგანიზაციასთან გაფორმდება თანამშრომლობის მემორანდუმი, რომლითაც განისაზღვრება შემდეგი საკითხები:

ა) პრევენციის ეროვნული მექანიზმის და პროექტის ავტორი ორგანიზაციის თანამშრომლობის ფარგლები და უფლება–მოვალეობები;
ბ) პროექტის ფარგლებში შემუშავებული ანგარიშის მომზადების დროს პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტსა და საპროექტო განაცხადის ავტორ არასამთავრობო ორგანიზაცის შორის არსებული კომუნიკაციის წესები;
გ) თავისუფლების აღკვეთის ან სხვაგვარი შეზღუდვის ადგილებში თემატური ვიზიტების განხორციელების პერიოდი და რაოდენობა (ამ წესის მე-3 მუხლის „ა" ქვეპუნქტის შემთხვევაში);
დ)პროექტით გათვალისწინებულ ანგარიშის მომზადებისა და გამოქვეყნების წესი, ეტაპები და ვადები;
ე) თავისუფლების აღკვეთის ან სხვაგვარი შეზღუდვის ადგილებში განხორციელებული ვიზიტის შემდგომი ანგარიშის გაცნობის საკითხის წესი შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულების წარმომადგენლისთვის (ამ წესის მე-3 მუხლის „ა" ქვეპუნქტის შემთხვევაში).''

5. მე-12 მუხლს დაემატოს მე-5 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მემორანდუმში შესაძლებელია შევიდეს ცვლილებები, საპროექტო განაცხადის ავტორ არასამთავრობო ორგანიზაციასა და პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტემენტის ერთობლივი წერილობითი შეთანხმებით.''

II. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

III. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ, N6), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

დამტკიცებულია:
საქართველოს სახალხო დამცველის
2017 წლის 4 დეკემბრის #366 ბრძანებით

პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის ფარგლებში

საქართველოს სახალხო დამცველის

არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის განხორციელებისას საქართველოს სახალხო დამცველის არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის წესი (შემდგომში „წესი“) აწესრიგებს პრევენციის ეროვნული მექანიზმის (შემდგომში „მექანიზმი“) მიერ თავისუფლების აღკვეთის ან სხვაგვარად შეზღუდვის ადგილებში თემატური ვიზიტების, დარგობრივი კვლევებისა და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისას არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფორმებს, ასეთი ორგანიზაციების შერჩევის პროცესს, წარმოსადგენი საპროექტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმებს, ინტერესთა კონფლიქტის და სხვა მომიჯნავე საკითხებს.

2. წესის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმის, "საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

3. წესის მიზანია პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის განხორციელებისას, კერძოდ, თავისუფლების აღკვეთის ან სხვაგვარად შეზღუდვის ადგილებში თემატური ვიზიტების, დარგობრივი კვლევებისა და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებაში არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობის ხელშეწყობა.

4. ეს წესი არ ვრცელდება პრევენციის ეროვნულ მექანიზმსა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის აქამდე არსებულ თუ მომავალში შეთანხმებულ თანამშრომლობის ფორმებზე.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. თემატური ვიზიტი - თავისუფლების აღკვეთისა და სხვაგვარად შეზღუდვის ადგილებში განხორციელებული შემოწმება კონკრეტული საკითხის შესწავლის მიზნით.

2. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი - გაერთიანებული ერების წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის დამატებითი ოქმის საფუძველზე, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3[1], მე-19 და მე-19[1] მუხლებით გათვალისწინებული, საქართველოს სახალხო დამცველთან შექმნილი ჯგუფის წევრი.

3. თავისუფლების აღკვეთის ან სხვაგვარად შეზღუდვის ადგილი - პენიტენციური დაწესებულებები, დაკავებისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილები, ფსიქიატრიული დაწესებულებები, მოხუცთა თავშესაფრები, ბავშვთა სახლები ასევე სხვა ადგილები, სადაც ფიზიკურ პირს შეიძლება შეეზღუდოს თავისუფლება.

4. ჯგუფის ხელმძღვანელი - პირი, რომელიც კოორდინაციას უწევს ვიზიტის განხორციელებას, მათ შორის, უშუალოდ ვიზიტის ადგილზე.

5. საპროექტო განაცხადი - არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი თანამშრომლობის განაცხადი, რომელიც მიზნად ისახავს თავისუფლების აღკვეთის ან სხვაგვარად შეზღუდვის ადგილებში თემატური ვიზიტების, დარგობრივი კვლევებისა და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას სახალხო დამცველთან ერთად.

6. საკონსულტაციო საბჭო - „პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების“ შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის 15 დეკემბრის #243 ბრძანებით შექმნილი ორგანო, რომელიც პრევენციის ეროვნულ მექანიზმს მისი საქმიანობის შესახებ უწევს კონსულტაციას.

7. არასამთავრობო ორგანიზაცია - საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი, რომელიც ასეთად რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

მუხლი 3. პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის სფეროები, რომელშიც გათვალისწინებულია თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან

1. ამ წესის შესაბამისად პრევენციის ეროვნულ მექანიზმსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა გათვალისწინებულია შემდეგი საქმიანობების განხორციელებისას:

ა) თემატური ვიზიტები თავისუფლების აღკვეთის ან სხვაგვარად შეზღუდვის ადგილებში პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრებთან ერთად;

ბ) დარგობრივი კვლევების წარმოება, რომლის მიზანია თავისუფლების აღკვეთის ან სხვაგვარად შეზღუდვის ადგილებში არსებული სიტუაციის სიღრმისეული შესწავლა;

გ) საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული საქმიანობა.

მუხლი 4. თანამშრომლობა სახალხო დამცველის მიერ გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში

1. საქართველოს სახალხო დამცველი პერიოდულად აცხადებს ღია კონკურსს არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის ამ წესის მე-3 მუხლში ჩამოთვლილი მიმართულებებით თანამშრომლობისთვის.

2. ღია კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოში მოქმედ და საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებულ ნებისმიერ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) საქმიანობის სფერო მოიცავს ადამიანის უფლებების დაცვას;

ბ) აქვს წამების პრევენციის სფეროში არანაკლებ ორი წლის გამოცდილება;

გ) არ ეწევა პოლიტიკურ საქმიანობას;

დ) არ აქვს ღიად გაცხადებული პოლიტიკური მიზნები;

ე) არ არის დაკავშირებული პოლიტიკურ გაერთიანებასთან.

3. არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც ინტერესს გამოხატავს თავისუფლების აღკვეთის ან სხვაგვარად შეზღუდვის ადგილებში თემატურ ვიზიტებში თანამშრომლობის შესახებ, უნდა ჰქონდეს ამგვარი ვიზიტების განხორციელების გამოცდილება.

4. კონკურსით დადგენილ ვადებში დაინტერესებულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ ამ წესის მე-6 მუხლის შესაბამისად შევსებული განაცხადი. განაცხადს თან უნდა ერთვოდეს მე-6 მუხლით მოთხოვნილი დოკუმენტები.

5. წარმოდგენილი პროექტების ამ წესის მე-6 მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობას ამოწმებს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი), რომელიც იღებს გადაწყვეტილებას პროექტის საკონკურსოდ დაშვების ან კონკურსიდან ამორიცხვის შესახებ, რის შესახებაც დეპარტამენტის უფროსი მოხსენებითი ბარათით აცნობებს სახალხო დამცველს.

6. საკონკურსოდ დაშვებული საპროექტო განაცხადები განსახილველად გადაეცემა საკონსულტაციო საბჭოს, რომელიც მორიგ სხდომაზე განიხილავს განაცხადებს და იღებს გადაწყვეტილებას პროექტის შერჩევის ან დაწუნების შესახებ ამ წესით დადგენილი პროცედურით.

7. პროექტის წარმდგენი არასამთავრობო ორგანიზაცია უფლებამოსილია, საპროექტო განაცხადის წარდგენამდე, წინასწარი კონსულტაცია გაიაროს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტთან.

საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 22 ოქტომბრის ბრძანება #383.

მუხლი 5. პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობაში არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა სახალხო დამცველის მიერ გამოცხადებული კონკურსის გარეშე

1. ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებული ღია კონკურსის გარდა, დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციას შეუძლია, თავისი ინიციატივით, ნებისმიერ დროს წარმოადგინოს ამ წესის მე–7 მუხლის შესაბამისად შევსებული საპროექტო განაცხადი ამ წესის მე-3 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მიზნით.

2. კონკურის გარეშე საპროექტო განაცხადის წარმომდგენი ორგანიზაცია უნდა აკმაყოფილებდეს ამ წესის მე–4 მუხლის მე–2 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. კონკურსის გარეშე წარმოდგენილი საპროექტო განაცხადის თემატიკა უნდა შეესაბამებოდეს პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის სფეროს და უნდა გამოირჩეოდეს აქტუალურობით.

4. სახალხო დამცველის აპარატი ამოწმებს კონკურსის გარეშე წარმოდგენილი განაცხადის შესაბამისობას ამ წესის მე-7 მუხლის მოთხოვნებთან. განაცხადის შერჩევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საკონსულტაციო საბჭო ამ წესის მე-10 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 22 ოქტომბრის ბრძანება #383.

მუხლი 6. საპროექტო განაცხადის შერჩევა

1. საპროექტო წინადადების შერჩევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საკონსულტაციო საბჭო ამ წესის მე-10 მუხლის შესაბამისად.

2. საკონსულტაციო საბჭოს მიერ შერჩეული საპროექტო განაცხადი წარედგინება სახალხო დამცველს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას განაცხადის მოწონების შესახებ.

3. შერჩეული პროექტის ავტორი არასამთავრობო ორგანიზაცია პროექტის განხორციელების შემთხვევაში ისარგებლებს სპეციალური პრევენციული ჯგუფის მანდატით და მისი წარმომადგენლები თავისუფლების აღკვეთის ან სხვაგვარად შეზღუდვის ადგილებში განახორციელებენ ვიზიტს, სახალხო დამცველის მიერ მინიჭებული სპეციალური უფლებამოსილების საფუძველზე.

მუხლი 7. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოსადგენი საპროექტო განაცხადის ფორმა

1. არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი საპროექტო განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) პრობლემის აღწერა და აქტუალურობა

ბ) პროექტის მიზანი

გ) პროექტის ამოცანები

დ) პროექტით გათვალისწინებული საქმიანობები

ე) პროექტის შესრულების ვადები

ვ) პროექტის მოსალოდნელი შედეგები

ზ) პროექტის ბიუჯეტი და ინფორმაცია სავარაუდო დამფინანსებელთა შესახებ

თ) პროექტის გუნდი

ი) პროექტის ავტორი ორგანიზაციის დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი, მისამართი

2. საპროექტო წინადადებას თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) პროექტის ავტორი ორგანიზაციის წესდება

ბ) პროექტის ავტორი ორგანიზაციის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი იურიდიულ პირთა რეესტრიდან)

გ) ადამიანის უფლებათა სფეროში ორგანიზაციის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მიმდინარე და დასრულებული პროექტების შესახებ ინფორმაცია)

დ) პროექტით გათვალისწინებული პოზიციების (თანამდებობების) სამუშაოს აღწერილობები

ე) პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია

ვ) სხვა ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც, ორგანიზაციის აზრით, შეიძლება დაეხმაროს საკონსულტაციო საბჭოს გადაწყვეტილების მიღებაში.

3. საპროექტო განაცხადის განხილვისას საკონსულტაციო საბჭოს შეუძლია პროექტის ავტორი ორგანიზაციისაგან მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა.

4. საპროექტო განაცხადი და მასზე დართული დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე.

5. საპროექტო განაცხადი ხელმოწერილი უნდა იყოს არასამთავრობო ორგანიზაციის პასუხისმგებელი პირის მიერ.

6. ამ მუხლის დარღვევით ან საკონკურსო ვადის გადაცილებით წარმოდგენილი საპროექტო განაცხადები განუხილველად დარჩება ამ წესის მე-9 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 8. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოსადგენი პროექტის შეფასების კრიტერიუმები

1. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი საპროექტო განაცხადი უნდა შეესაბამებოდეს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატს, ხოლო ღია კონკურსის შემთხვევაში ასევე საკონკურსო თემატიკას და ხელს უნდა უწყობდეს წამების პრევენციის ზოგად მიზანს. განაცხადი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს პრინციპს - „primum non nocere"[1] და მისი განხორციელება უნდა შეესაბამებოდეს პრევენციის ეროვნული მექანიზმის არსებულ რესურსებს.

2. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი საპროექტო განაცხადების შეფასებისას საკონსულტაციო საბჭო ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული მოთხოვნების გარდა, ხელმძღვანელობს შემდეგი კრიტერიუმებით:

ა) ღია კონკურსის დროს – პროექტის შესაბამისობა კონკურსის მიზნებთან, ხოლო კონკურსის გარეშე წარმოდგენილი განაცხადის შემთხვევაში - პროექტის თემატიკის აქტუალურობა და საპროექტო განაცხადში წამოჭრილი საკითხებისადმი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი;

ბ) პროექტით დაგეგმილი აქტივობების შესაბამისობა პროექტის მიზნებთან;

გ) პროექტის გავლენა წამების პრევენციაზე;

დ) პროექტის ინოვაციურობა;

ე) პროექტის გუნდის სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება;

ვ) განმცხადებელი ორგანიზაციის გამოცდილება საკონკურსოდ გამოცხადებული თემატიკის კუთხით;

ზ) განმცხადებელი ორგანიზაციის ადამიანური რესურსის შესაბამისობა პროექტით გათვალისწინებულ საქმიანობებთან;

თ) წარმოდგენილი ბიუჯეტის შესაბამისობა საპროექტო განაცხადით დაგეგმილ საქმიანობებთან და პროექტის მიზნებთან;

3. თუკი საპროექტო განაცხადი გულისხმობს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის შესაბამისად, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების უფლებების მდგომარეობის შესწავლას, ასეთ განაცხადზე გადაწყვეტილების მიღებისას საკონსულტაციო საბჭომ შესაძლოა მხედველობაში მიიღოს პროექტის განხორციელებაში თავად ამ ჯგუფების წარმომადგენელთა ჩართულობა.

მუხლი 9. წარმოდგენილი საპროექტო განაცხადების დასაშვებობის შემოწმება

[1] „არ მიაყენო ზიანი"

1. დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაცია საპროექტო განაცხადს წარადგენს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში, სახალხო დამცველის სახელზე განცხადების რეგისტრაციის გზით.

2. საკონკურსო განაცხადების წარდგენისათვის დადგენილი ვადის გასვლიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი ამოწმებს წარმოდგენილი საპროექტო განაცხადის შესაბამისობას ამ წესის მე-7 მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან.

3. შემოწმების შემდეგ პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი იღებს გადაწყვეტილებას პროექტის საკონსულტაციო საბჭოსათვის წარდგენის ან პროექტის განუხილველად დატოვების შესახებ, რის შესახებაც დეპარტამენტის უფროსი მოხსენებითი ბარათის მეშვეობით აცნობებს სახალხო დამცველს.

4. ინფორმაცია საპროექტო განაცხადის საკონსულტაციო საბჭოსათვის გადაცემის ან განუხილველად დატოვების შესახებ ეცნობება განმცხადებელ არასამთავრობო ორგანიზაციას.

5. პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება პროექტის განუხილვევლად დატოვების შესახებ, თუკი წარმოდგენელი პროექტი შეუსაბამოა პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიზნებთან ან მისი განხორციელება შეუძლებელია პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის წლიური გეგმიდან გამომდინარე.

საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 22 ოქტომბრის ბრძანება #383.

მუხლი 10. პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცედურები და ვადები

1. ამ წესის მე-9 მუხლის საფუძველზე საკონსულტაციო საბჭოსათვის წარდგენილ საპროექტო განაცხადს საბჭო განიხილავს მის მორიგ სხდომაზე.

2. სახალხო დამცველი არ მონაწილეობს სხდომის იმ ნაწილში, რომელზეც განიხილება საპროექტო განაცხადის მოწონების საკითხი.

3. თუკი საკონსულტაციო საბჭო განიხილავს საპროექტო განაცხადს, რომლის ავტორი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი საბჭოს წევრია, მაშინ ეს წევრი არ მონაწილეობს სხდომის იმ ნაწილში, რომელზეც განიხილება ამ კონკრეტული საპროექტო განაცხადის შერჩევის საკითხი.

4. ღია კონკურსის დროს წარმოდგენილ საპროექტო განაცხადებიდან შერჩეულად ჩაითვლება ის პროექტი, რომელიც საბჭოს წევრთა ყველაზე მეტ დადებით ხმას მიიღებს. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში ტარდება განმეორებითი კენჭისყრა მხოლოდ იმ პროექტებზე, რომლებმაც ხმათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს. თუ ხმები კვლავ თანაბრად გაიყო, მაშინ

ორივე საპროექტო განაცხადი ჩაითვლება შერჩეულად და წარედგინება სახალხო დამცველს ამ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად.

5. კონკურსის გარეშე წარმოდგენილ საპროექტო განაცხადის შერჩევის შესახებ საბჭო გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით.

6. ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტით გათვალისწინებული კენჭისყრისას აუცილებელია რომ პროექტის შერჩევაზე მიღებული გადაწყვეტილება შეიცავდეს საბჭოს მოწვეულ წევრთა სულ მცირე ორ ხმას, წინააღმდეგ შემთხვევაში პროექტი არ ჩაითვლება შერჩეულად.

7. საკონსულტაციო საბჭოს მიერ შერჩეული საპროექტო განაცხადი წარედგინება სახალხო დამცველს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

8. საპროექტო განაცხადის შერჩევის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს სახალხო დამცველის აპარატში განაცხადის წარმოდგენიდან არა უმეტეს 3 თვეში, ეს ვადა გამონაკლის შემთხვევაში შესაძლებელია გაგრძელდეს სახალხო დამცველის მიერ, მაგრამ არაუმეტეს 2 თვით.

საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 22 ოქტომბრის ბრძანება #383.

მუხლი 11. ინტერესთა კონფლიქტი

1. ინტერესთა კონფლიქტი - შემთხვევა, როდესაც ამ წესის შესაბამისად შერჩეულ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს, რომელიც საპროექტო განაცხადით განსაზღვრული საქმიანობების განხორციელებებისას მონაწილეობს პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობაში, აკავშირებს ნათესაური, მეგობრული, სამსახურებრივი, პირადი ან სხვა კავშირი (რომელიც დამოუკიდებელი დამკვირვებლის თვალში შეიძლება განხილულ იქნას ინტერესთა კონფლიქტად) თავისუფლების აღკვეთის ან სხვაგვარად შეზღუდვის ადგილებში მოთავსებულ პირთან ან შესაბამისი დაწესებულების ადმინისტრაციის პასუხისმგებელ თანამდებობის პირთან.

2. არასამთავრობო ორგანიზაციამ ან მისმა წარმომადგენელმა, რომელიც მონაწილეობს პროექტით გათვალისწინებულ აქტივობებში, წინასწარ წერილობით უნდა განაცხადოს შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის შესახებ და თავი შეიკავოს ამ აქტივობებში მონაწილეობისაგან.

მუხლი 12. შერჩეული პროექტის განხორციელების წინაპირობები

1. შერჩეული საპროექტო განაცხადის ავტორი ორგანიზაცია მიიღებს მხარდაჭერის წერილს სახალხო დამცველისაგან, რომელშიც აღინიშნება, რომ შესაბამისი დაფინანსების მოპოვების შემთხვევაში სახალხო დამცველი გამოთქვამს მზადყოფნას ითანამშრომლოს აღნიშნულ ორგანიზაციასთან პროექტით გათვალისწინებულ ფარგლებში.

2. შერჩეული პროექტის დაფინანსების წყაროებს მოიძიებს პროექტის ავტორი არასამთავრობო ორგანიზაცია.

3. შერჩეული საპროექტო განაცხადის ავტორ არასამთავრობო ორგანიზაციასთან გაფორმდება თანამშრომლობის მემორანდუმი, რომლითაც განისაზღვრება შემდეგი საკითხები:

ა) პრევენციის ეროვნული მექანიზმის და პროექტის ავტორი ორგანიზაციის თანამშრომლობის ფარგლები და უფლება–მოვალეობები;

ბ) პროექტის ფარგლებში შემუშავებული ანგარიშის მომზადების დროს პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტსა და საპროექტო განაცხადის ავტორ არასამთავრობო ორგანიზაცის შორის არსებული კომუნიკაციის წესები;

გ) თავისუფლების აღკვეთის ან სხვაგვარი შეზღუდვის ადგილებში თემატური ვიზიტების განხორციელების პერიოდი და რაოდენობა (ამ წესის მე-3 მუხლის „ა" ქვეპუნქტის შემთხვევაში);

დ)პროექტით გათვალისწინებულ ანგარიშის მომზადებისა და გამოქვეყნების წესი, ეტაპები და ვადები;

ე) თავისუფლების აღკვეთის ან სხვაგვარი შეზღუდვის ადგილებში განხორციელებული ვიზიტის შემდგომი ანგარიშის გაცნობის საკითხის წესი შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულების წარმომადგენლისთვის (ამ წესის მე-3 მუხლის „ა" ქვეპუნქტის შემთხვევაში);

4. შერჩეული საპროექტო განაცხადის ავტორი არასამთავრობო ორგანიზაცია პროექტით გათვალისწინებულ აქტივობებს განახორციელებს ერთობლივად პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენლებთან ერთად. თავისუფლების აღკვეთის ან სხვაგვარი შეზღუდვის ადგილებში თემატური ვიზიტებისას, საპროექტო განაცხადის ავტორ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს აუცილებელია თან ახლდეს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელიც, რომელიც შეითავსებს ჯგუფის ხელმძღვანელის ფუნქციას.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მემორანდუმში შესაძლებელია შევიდეს ცვლილებები, საპროექტო განაცხადის ავტორ არასამთავრობო ორგანიზაციასა და პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტემენტის ერთობლივი წერილობითი შეთანხმებით.

საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 22 ოქტომბრის ბრძანება #383.

მუხლი 13. თემატურ ვიზიტში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციის ვალდებულებები

თუკი შერჩეული საპროექტო განაცხადი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთის ან სხვაგვარად შეზღუდვის ადგილებში თემატური ვიზიტების განხორციელებას, პროექტის ავტორი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებზე გავრცელდება სპეციალური

პრევენციული ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის 16 თებერვლის #53 ბრძანებით დადგენილი იგივე ვალდებულებები, რაც ვრცელდება სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებზე.

მუხლი 14. დასკვნითი დებულებები

ეს წესი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.